საქართველოს საქართველოს კონსტიტუციური საფუძვლები

კონფიდენციურობის წესის მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებისთვის

საქართველოს კონსტიტუცია

- მუხლი 20

1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

სამედიცინო სახის ინფორმაციის კონფიდენციურობის დაცვა - საქართველოს კონსტიტუცია, 41.2-ე მუხლი:

- „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი, თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებების და თავისუფლების დასაცავად“.

საექიმო საიდუმლო - სამედიცინო კანონმდებლობაში

I. კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, 42-ე მუხლი: „მედიცინის მუშაკი და სამედიცინო დაწესებულების ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო (საექიმო) საიდუმლო“;

II. კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, 48.1-ე მუხლი - „ინფორმაციის კონფიდენციურობა“;

III. კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, 27-ე მუხლი: „სამედიცინო მომსახურების გამწევი ვალდებულია პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციურობა დაიცვას, როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ“. [იხ. შემდეგი სლაიდი]

კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ –
42-ე მუხლი:
მედიცინის მუშაკი და სამედიცინო დაწესებულების ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო (საექიმო) საიდუმლო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კონფიდენციური ინფორმაციის გამჟღავნებას მოითხოვს გარდაცვლილის ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლო, საგამოძიებო ორგანოები, ან ეს აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

კანონი პაციენტის უფლებების შესახებ

- 28.1ბ მუხლი: სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ კონფიდენციური ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია, თუ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა საფრთხეს უქმნის მესამე პირის (რომლის ვინაობაც ცნობილია) სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას.
- 28.1დ მუხლი: „სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ კონფიდენციური ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია, თუ ამას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა “.

საქართველოს კონსტიტუცია

- მუხლი 41
- 1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

- *167-ე მუხლი* :
- ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმა ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა. პირისათვის უკანონოდ უარის თქმა მასზე არსებული ინფორმაციის ან ოფიციალური დოკუმენტის გაცნობაზე, ანდა იმ დოკუმენტის ან მასალის წარდგენაზე, რომელიც უშუალოდ შეეხება მის უფლებებსა და თავისუფლებებს, აგრეთვე ასეთი ინფორმაციის, დოკუმენტის ან მასალის არასრულად ან დამახინჯებულად წარდგენა, ანდა მის გასაცნობად სხვაგვარად უკანონოდ ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია,- ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

კანონი პაციენტის უფლებების შესახებ 17-ე მუხლი

- „პაციენტს, ხოლო მისი თანხმობის ან ქმედუუნარობის შემთხვევაში, ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს გაეცნონ სამედიცინო ჩანაწერებს და მოითხოვონ პაციენტის შესახებ არსებულ ინფორმაციაში შესწორებების შეტანა. სამედიცინო ჩანაწერებში ინახება, როგორც შესწორებამდე არსებული, ისე პაციენტის, მისი ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ახლად მიწოდებული ინფორმაცია“.

- საქართველოს კანონში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ 34-ე მუხლში გაცხადებულია: „ექიმის პროფესია თავისი არსით თავისუფალი პროფესიაა. ნებისმიერ ვითარებაში დაუშვებელია, ხელისუფლების წარმომადგენელმა ან კერძო პირმა მოსთხოვოს ექიმს ამ კანონში მოცემული პრინციპების, საექიმო საქმიანობის ეთიკური ნორმების საწინააღმდეგო მოქმედება, მიუხედავად მომთხოვნი პირის თანამდებობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა. ყოველგვარი ქმედება, რაც ხელს უშლის სამედიცინო პერსონალს პროფესიული მოვალეობის შესრულებაში, იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“.

„კანონის ჯანდაცვის შესახებ“ 43-ე მუხლის თანახმად ექიმი ვალდებულია „დადგენილი წესით აწარმოოს ჩანაწერები სამედიცინო დოკუმენტაციაში“, რაც დეტალურად არის განსაზღვრული „კანონში საექიმო საქმიანობის შესახებ“ 56-ე მუხლში: „სამედიცინო ჩანაწერების წარმოების პირობები“.

- ამ დროს გასათვალისწინებელია, რომ სსსკ-ის 341-ე მუხლის მიხედვით - „სამსახურებრივი სიყალბე“: „ყალბი ცნობის ან ჩანაწერის შეტანა ოფიციალურ დოკუმენტში“ - სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დგება.

პაციენტის უფლებების შესახებ

- მუხლი 29
- პაციენტის ოჯახურ და პირად ცხოვრებაში სამედიცინო მომსახურების გამწევის ჩარევა აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:
- ა) ჩარევა აუცილებელია პაციენტის დაავადების დიაგნოსტიკის, მისი მკურნალობისა და მოვლისათვის. ამ შემთხვევებში პაციენტის თანხმობა აუცილებელი პირობაა;
- ბ) საფრთხე ექმნება პაციენტის ოჯახის წევრთა ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს.
- (იგივე იხ. კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ: 49-ე მუხლი)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

- მუხლი 157.

პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა:

გ) იმის მიერ, ვისაც სამსახურებრივი მდგომარეობის, პროფესიული საქმიანობის ან სხვა გარემოების გამო ევალებოდა ამ საიდუმლოს დაცვა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 247-ე მუხლი: „სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი გარემოებების შესახებ ინფორმაციის დამალვა ან გაყალბება“.

საქართველოს კონსტიტუცია

- მუხლი 17
- 1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.
- მუხლი 15

1. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.